განკარგულება:**გ-49. 49241527**
თარიღი:**31/05/2024**

შპს „რეტრო იმერეთი“-სათვის (ს/კ 412777400) ტურისტური ზონის მოსაწყობად, 49 წლის ვადით, იჯარით, შესაბამისი პირობებით სარგებლობის უფლებით, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N39ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკ.კოდი N29.08.37.069) გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 28 მაისის №48-482414990 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას შპს „რეტრო იმერეთს“ (ს/კ 412777400) ტურისტური ზონის მოსაწყობად, 49 წლის ვადით, იჯარით, შესაბამისი პირობებით სარგებლობაში გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N39ა-ში მდებარე უძრავი ქონება (საკ.კოდი N29.08.37.069).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, ტურისტური ზონის მოსაწყობად, 49 წლის ვადით, იჯარის უფლებით, შპს „რეტრო იმერეთს“ (ს/კ 412777400) შესაბამისი პირობებით სარგებლობაში გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N39ა-ში მდებარე უძრავი ქონება (საკ.კოდი N29.08.37.069).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი